გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი#4

11მაისი 2020 წელი

ქ.ბაღდათი

11.00სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: გია სახამბერიძე

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ

კომისიის წევრები:

შადიმან გორგოძე
ზაზა ზივზივაძე
კობა მშვილდაძე
დიომიდე კიკნაველიძე

შ.პ.ს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ბაღდათის სერვის ცენტრის მენეჯერი: თემურ გოგსაძე

შ.პ.ს საქართველოს მელიორაცია ბაღდათის უბნის უფროსი: რეზო ზივზივაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თ/მოადგილე: ნოდარ გიორგიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი: თორნიკე გაჩეჩილაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობიანი საქართველო“-ს დამფუძნებელი საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ჩიგოგიძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ინფორმაცია წყალმომარაგების (მათ შორის ტექნიკური) და წყალარინების უზრუნველყოფის (ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემების) განვითარების კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: თემურ გოგსაძე, რეზო ზივზივაძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1 კომისიის თავმჯდომარემ გია სახამბერიძემ წარმოადგინა საკითხი: ინფორმაცია წყალმომარაგების (მათ შორის ტექნიკური) და წყალარინების უზრუნველყოფის (ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემების) განვითარების კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ, აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა შ.პ.ს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ბაღდათის სერვის ცენტრის მენეჯერმა: თემურ გოგსაძემ, აგრეთვე სამელიორაციო საკითხებზე ინფორმაცია წარმოადგინა შ.პ.ს საქართველოს მელიორაცია ბაღდათის უბნის უფროსმა: რეზო ზივზივაძემ

შ.პ.ს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ბაღდათის სერვის ცენტრის მენეჯერმა: თემურ გოგსაძემ, განაცხადა, რომ ამჟამად აღრიცხვიანობა მოსახლეობაში წყალმომარაგების მხრივ არის მხოლოდ სულადობრივი გადასახადი და ეს თანხა შეადგენს ერთ სულ მოსახლეზე 50თეთრს

კომისიის თ/მოადგილე: შადიმან გორგოძემ განაცხადა, რომ წყალი რომელიც მოსახლეობას ეწოდება მოყვება მაგისტრალს ქვიშა საჭიროა შესაბამისი ფილტრების დაყენება, რომ დაიწმინდოს

შ.პ.ს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ბაღდათის სერვის ცენტრის მენეჯერმა: თემურ გოგსაძემ, განაცხადა, რომ არის დაყენებული ფილტრები მაგრამ ვერ უზრუნველყოფს წყალის სრულად ფილტრაციას

კომისიის თავმჯდომარე: გია სახამბერიძე რა განიკვეთის მილია საჭირო წყალის ჩამოყვანის შემთხვევაში სოფელ ხანიდან ან რა მანძილზეა ეს მილები გასაყვანი

შ.პ.ს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ბაღდათის სერვის ცენტრის მენეჯერმა: თემურ გოგსაძემ, უპასუხა გია სახამბერიძეს, რომ მილი საჭიროა -200-იანი ან 250-იანი მანძილი არის 32კმ

არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობიანი საქართველო"-ს დამფუძნებელი საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ჩიგოგიძემ განაცხადა, რომ საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულ სააგენტოს შესაბამისობის შეფასების აქტი #1AB6A13492135 შედგენის საფუძველზე მივწერეთ გარკვეული სახის შენიშვნები და განაცხადი გაიგზავნა 2020 წლის 21 თებერვალს,ჯერ პასუხი ამ შენიშვნებთან დაკავშირებით არ მიგვიღია, კომისიის სხდომაზე წარმოდგენილ აქტში არის შესაბამისი შენიშნვნები და მითითებების ჩამონათვალი, საქლორატო განთავსებული უნდა იყოს სათანადო პირობებში(ჰაერის ტემპერატურა) რათა უზრუნველყოს მუდმივი და უწყვეტი დაქლორვის პროცესი, სათავე ნაგებობებში დამონტაჟებული წყლის ფილტრები უნდა ფუნქციონირებდეს რათა მაგისტრალურ ქსელში გავიდეს გაფილტრული წყალი, ობიექტი არ არის უზრუნველყოფილი მუდმივი ელ.ენერგიის მიწოდებით(აქვთ გენერატორი მხოლოდ ღამით განათებისთვის), ქლორატი მუშაობს ელ.ენერგიის გარეშე (მოწყობილია კუსტარულად თუმცა უზრუნველყოფს 24საათიან დაქლორვას), სალექარი რეზერვუარის კედლები არ უნდა იყოს დაზიანებული უნდა იძლეოდეს ადვილად გაწმენდის და საჭიროების შემთხვევაში დეზინფიცირების შესაძლებლობას, სუფთა წყლის რეზერვუარის სახურავი არ უნდა იყოს დაზიანებული და უნდა უზრუნველყოს რეზერვუარის დაბინძურებისაგან დაცვა, ქლორის ბალონისათვის უნდა იქნეს მოწყობილი უსაფრთხოების ავზი ინსპექტირების ჩატარება მოხდა 21/02/2020წელს

შ.პ.ს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ბაღდათის სერვის ცენტრის მენეჯერმა: თემურ გოგსაძემ განაცხადა, რომ ელ.ენერგიის მიწოდება რა თქმა უნდა საჭიროა ობიექტის მუშაობისათვის, გზიდან არის 500მეტრი მივმართეთ ამ საკითხზე ელექტრო კომპანიას და ჯერ საკითხი არ მოგვარებულა

საკრებულოს თ/მოადგილე: ნოდარ გიორგიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ მოვიკვლოთ ობიექტზე სადაც არ არის ელ.ენერგიის მიწოდება, რა შემაფერხებელი გარემოებები არსებობს

კომისიის წევრებმა: დიომიდე კიკნაველიძემ გამოთქვა მოსაზრება წყალთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებზე შესაბამის სამსახურებს მივწეროთ კომისიის სახელით და მაქსიმუმი გაკეთდეს პრობლემების აღმოსაფხვრელად აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის თავმჯდომარე გია სახამბერიძე და კომისიის წევრები

კომისიის თავმჯდომარე: გია სახამბერიძემ განაცხადა, რომ წყალის სისტემურად გამართულობასთან და არსებულ შენიშვნებთან და პრობლემებთან დაკავშირებით მივმართოთ შ.პ.ს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას და გავერკვიოთ რა პროეტები და სამუშაოები იგეგმება პრობლემების აღმოფხვრის მიზნით

კომისიის თავმჯდომარე: გია სახამბერიძემ კითხვით მიმართა რეზო ზივზივაძეს სოფ. ვარციხის სარწყავი სისტემა რამდენად გამართულია

შ.პ.ს საქართველოს მელიორაცია ბაღდათის უბნის უფროსმა: რეზო ზივზივაძემ უპასუხა გია სახამბერიძეს, რომ სოფ. ვარციხის სარწყავი სისტემას აქვს გარკვეული პრობლემა, რომ ის იტბორება სამხედრო ნაწილის მიმდებარე ტერიტორიაზე

კომისიის წევრი: დიომიდე კიკნაველიძემ კითხვით მიმართა რეზო ზივზივაძეს, თუ იხდის მოსახლეობა მელიორაციის მომსახურების თანხას

შ.პ.ს საქართველოს მელიორაცია ბაღდათის უბნის უფროსმა: რეზო ზივზივაძემ უპასუხა დიომიდე კიკნაველიძეს, რომ პრობლემები მეტ-ნაკლებად არის ამ მიმართულებით თუმცა ხერხდება თანხის მოკრება და ტარიფი მეასედზე არის 45თეთრი, რაც დაბალი ტარიფია

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიამ ინფორმაცია წყალმომარაგების (მათ შორის ტექნიკური) და წყალარინების უზრუნველყოფის (ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემების) განვითარების კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ, კომისიამ მიიღო ცნობის სახით

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით საკითხი ამოიწურა

სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: გია სახამბერიძე